# საქართველო
## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge


№ 32 20 სექტემბერი 2021 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ II კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინა სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების II კვარტლის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის:ქ. სენაკი,შ. რუსთაველისქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ბადრი კალანდარიშვილი